

დანართი N1

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. პროექტის განხორციელების ადგილი: ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლოდისძირის მიმდებარე ტერიტორია; საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის (კმ 110-კმ 127) სამშენებლო ბუფერი.(სიტუაციური გეგმა-დანართი N1)
2. დაგეგმილი საქმიანობის დასაბუთება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-1097, 26.11.2020-ით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების(ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №26 24.05.2016) საფუძველზე მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის (კმ 110-კმ 127) მშენებლობის სამუშაოები. პროექტს ახორციელებს შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“. პროექტი ხორციელდება ადიგენის და ხულოს მუნიციპალიტეტებში, კერძოდ კი გოდერძის უღელტეხილზე. გამომდინარე იქიდან, რომ უახლოესი ავტოგასამართი პროექტის განხორციელების ადგილიდან დაშორებულია 30 კმ მეტი მანძილით და ხორციელდება მთიან რეგიონში, რთულ მეტეოროლოგიურ და გეოგრაფიულ პირობებში, პროექტის საწვავით უზრუნველსაყოფად იგეგმება დროებით, დიზელის საწვავის რეზერვუარის მოწყობა პროექტის კმ 4 პიკეტის მიმდებარედ, (სოფ. ლოდისძირის მიმდებარე ტერიტორია) სამშენებლო გზის ბუფერში.

3. მონაცემები საქმიანობის განხორციელების შესახებ - მოცემულია ცხრილი N1-ში

საქმიანობის განხორციელებლი	შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ხულოს მუნიციპალიტეტი ს. ლოდისძირი
ფაქტობრივი	ხულო, სოფ. ლოდისძირის მიმდებარე ტერიტორია
იურდიული	ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ად.მიცკევიჩის ქ., №29, კორპ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი	404859122
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984	X-295613, Y-4612043;

კოორდინატთა სისტემა)	
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	ქინგიუ ლი
ტელეფონი:	599 52 01 76
ელ-ფოსტა:	liqingyou2013@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	40 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ავტოგასამართი სადგური
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	მიღებული და გაცემული დიზელი -200000 ლ/წელ.
საპროექტო წარამადობა	მიღებული და გაცემული დიზელი - დიზელი 200000ლ წელიწადში
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365

4. სდაგეგმილი საქმიანობის განთავსების ადგილი: ავტოგასამართი სადგურის (და მასთან ერთად ნავთობპროდუქტების საცავების) მოწყობა იგეგმება ხულოს რაიონში, სოფ. ლოდისძირის მიმდებარედ გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ, მშენებარე გზის ბუფერში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ტერიტორიაზე. ავტოგასამართი სადგური(საწვავის რეზერვუარი) განთავსდება ზემოდან გადახურულ ღია დროებით ნაგებობაში.

დაგეგმილი საქმიანობის განთავსების ტერიტორია წარმოადგენს ათვისებულ, ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიას და ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა-ფუნქციონირებისას მიწის რესურსებზე და მიმდებარე ლანდშაფტზე ახალი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

დაგეგმილი საქმიანობის მიმდებარე ტერიტორია სოფ. ლოდისძირი წარმოადგენს საზაფხულო იალაღის ტიპის დასახლებას, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს მხოლოდ ზაფხულის პერიოდში.

5. საქმიანობის მასშტაბი: დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში იგეგმება წლიურად 200000 ლ. დიზელის საწვავის მიღება-გაცემა;

6. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა: ავტოგასამართი სადგურის მოწყობის სამუშაოების საწყის ეტაპზე განხორციელდება ტერიტორიის მოსწორება. სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით მოეწყობა სადრენაჟო ფენა (დაიყრება შლამი, რომელიც დაიფარება ღორღით), მომანდაკდება, რის შემდეგაც

მოეწყობა ბეტონის საფარი, რომელზეც დადგმება მიწისზედა რეზერვუარი (15000 ლ ტევადობის), რომელიც ზემოდან გადახურული იქნება დროებითი გადახურვით (ტენტით).

ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება დიზელის საწვავის მიღება-გაცემა. საწვავის მიღება-შენახვისათვის დაგეგმილია 1 ერთეული მიწისზედა საწვავის ავზის მონტაჟი. საწვავის ავზი განთავსდება ბეტონის მეორად შემაკავებელში(ჯამში). ბეტონის ჯამის ქვეშ, ასევე შიგნით გაკეთდება ქვიშის ბალიში, რომელზეც დაიდგმება საწვავის რეზერვუარი, რომლის მოცულობა იქნება: 15000ლ.

რეზერვუარში საწვავის მიღება განხორციელდება სარქველის მეშვეობით, რეზერვუარზე მიერთებული იქნება 1 გამცემი საწვავ-მარიგებელი სვეტი.

საწვავის გაცემის ადგილი განთავსდება მსუბუქი კონსტრუქციის ნახევრად ღია შენობაში. ავტომობილის სადგომი ტერიტორიის ირგვლივ დამატებით მოეწყობა წყალშემკრები დრენაჟი და დაერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობაზე (სალექარზე) რომ არ მოხდეს შემთხვევით დაღვრილი საწვავის პირდაპირი სახით ბუნებაში მოხვედრა.

საწვავ-მარიგებელი სვეტი დამონტაჟებული იქნება უშუალოდ საწვავის რეზერვუარზე. საწვავის გაცემის ადგილი აღიჭურვება წვეთშემკრები სისტემით.

საწვავის მიღება დაგეგმილია ავტოცისტერნების საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს საწვავის რეზერვუარის სარქველზე, რომელიც განთავსებულია რეზერვუარის თავზე.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია დიზელის საწვავით პროექტში გამოყენებული ტექნიკის გასამართად. წლიურად გასაცემი საწვავის მაქსიმალური ჯამური რაოდენობაა 200000ლ.

ავტო გასამართის ტერიტორიაზე ასევე განთავსდება მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საწვავის რეზერვუარს.

ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღება-გაცემა განხორციელდება ავტომატური რეჟიმით.

7. დანადგარის განთავსების კოორდინატები: x-295613; y-4612043;
8. საპროექტო წარმადობა: 200000ლ დიზელის საწვავის მიღება/გაცემა;
9. სამუშაო დღეთა რაოდენობა: 365 დღე
10. სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში: 24 სთ;
11. გამოყენებული რესურსები: ავტოგასამართი სადგურის მოწყობა - ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენება არ იგეგმება.
12. დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან: 40 მ;
13. გამოყენებული საწვავი: არ გამოიყენებს საწვავს
14. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები: ავტოგასამართი სადგურის

შემადგენელი ინფრასტრუქტურული ელემენტებია:

- დიზელის რეზერვუარი;
- საწვავის მარიგებელი სვეტი;
- ავტოცისტერნის დაცლის პლატფორმა;
- სანიაღვრე წყლების შემკრები ღარები და სალექარი ;

15. ტექნოლოგიური სქემა: საწვავის მიღება მოხდება ავტოცისტერნებით. დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიაზე შემოსული ავტოცისტერნა დაერთდება რეზერვუარების ჩამსხმელ სარქველზე, რომლის მეშვეობით მოხდება საწვავის რეზერვუარში განთავსება. რეზერვუარებიდან მოხდება საწვავის გამცემი სვეტებისთვის მიწოდება და გაცემა. რეზერვუარის საწვავის გაცემა იგეგმება 24 სთ რეჟიმით. წელიწადში სამუშაო დღეთა რაოდენობა არის 365 დღე, საწვავის მიღება-გაცემაზე დასაქამებული იქნება 1 ადამიანი, ხოლო ენერგორესურსის სახით გამოიყენებული იქნება ელექტროენერგია.

16. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საქმიანობის პროცესში:

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებით; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა

ა. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე:

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიაზე მავნე ნივთიერებათა(ნახშირწყალბადები) წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარში ნავთობპროდუქტების მიღებისას და გაცემისას.

ქვემოთ ცხრილ-1-ში მოცემულია ავტოგასამართი სადგურიდან მოსალოდნელი გაფრქვევის მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზდკ) მგ/მ ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღელამური	
1	2	3	4	5	8
1.	ბენზინის ორთქლი	311	5	-	4
2.	დიზელის საწვავის	314	1		4

ორთქლი				
--------	--	--	--	--

როგორც უკვე აღინიშნა, ავტოგასამართი სადგურიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ინტენსივობების მაქსიმალური ჯამური მნიშვნელობები მიიღება საწვავის მიღებისას და ავტომობილების გამართვისას.

გამომდინარე იქიდან, რომ დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს 1 სახეობის საწვავის რეზერვუარის ფუნქციონირებას საწარმოს მუშაობისას ადგილი ექნება გაფრქვევას 1 წყაროდან, დიზელის მიღება-გაცემისას.

1 ლიტრი დიზელის საწვავისათვის რელიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0,0025 გ ნახშირწყალბადები.

ერთი წლის განმავლობაში ავტოგასამართი სადგური მაქსიმუმ 200000 ლიტრს დიზელის საწვავს, აქედან გამომდინარე წლის განმავლობაში ავტოგასამართი სადგურის მიერ გაფრქვეული ნახშირწყალბადების წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

დიზელის საწვავისათვის:

$$G_{ნახშ} = 200000 * 0,0025 / 10^6 = 0,0005 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{ნახშ} = 0,0005 * 10^6 / 8760 / 3600 = 0,000015 \text{ გ/წმ}$$

სულ წლიურად ავტოგასამართი სადგურიდან გაიფრქვევა 0,0005 ტ ნახშირწყალბადები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობები მინიმალურია დაშვებული ნორმების ფარგლებშია.

ბ. ხმაურის ზემოქმედება:

საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო, ვინაიდან ავტოგასამართ სადგურზე არ რის გათვალისწინებული მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და განთავსების ადგილის გათვალისწინებით გამორიცხულია მოსახლეობაზე და დასაქმებულებზე ხმაურის უარყოფითი გავლენა.

გ. ზემოქმედება ლანდშაფტზე:

ავტოგასამართი სადგურის მოწყობა იგეგმება ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს მშენებარე გზის ბუფერს, რომელიც წარმოადგენს ათვისებულ, ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიას. ავტოგასამართის მოწყობისას არ იგეგმება დიდი მოცულობის და ზომების სამშენებლო სამუშაოების განხორციელება რის გამოც და ფუნქციონირებისას ლანდშაფტის სერიოზული ვიზუალური ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

დ. ზემოქმედება ნიადაგურ საფარზე და მიწის რესურსებზე: საწარმოს მოწყობისას და ექსპლუატაციისას მიწის რესურსებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. რადგან ეს ტერიტორია არსებული გზის და მშენებარე გზის ტერიტორიაა, სადაც არ ფიქსირდება

მიწის ნაყოფიერი ფენა, ასევე არ არის საჭირო დამატებით ახალი მისასვლელი გზების მოწყობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის რესურსებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ე. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

წყალალბა - ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. წყლით მომარაგება მოხდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლები - რადგან ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს. აღნიშნული სანიაღვრე წყლები მიერთებული იქნება ტერიტორიაზე არსებულ სანიაღვრე კანალიზაციასთან.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლები - ასეთი წყლების შესაგროვებლად მოეწყობა წყალგაუმტარი ორმო, (ნახმარი წყლების წყალშემკრები ავზი/რეზერვუარი, საიდან მოხდება ამ წყლების გატანა და შესაბამისი ნებართვის საფუძველზე ქ. ახალციხის გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვება.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის მოწყობის და ექსპლუატაციის ფაზებზე წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება - დაგეგმილი ავტოგასამართიდან 300 მ-ში გაედინება მდ. ძინძე. ავტოგასამართის მოწყობისას გატარდება დამატებითი ღონისძიებები მდინარის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, საწვავის რეზერვუარები განთავსდება ბეტონის ჯამში, რომლის მოცულობა ბეტონის რეზერვუარების მოცულობის 110%-ზე მეტია. ბეტონის ჯამი დაიდგმება დამატებით ქვიშის ბალიშზე(0,5მ სიღრმის). რაც ავარიული სიტუაციის შემთხვევაშიც გამორიცხავს საწვავის გაჟონვას და მდინარის დაბინძურებას.

ზემოქმედება ფლორასა და ფაუნაზე: ავტოგასამართის მოწყობისას არ არის დაგეგმილი დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოჭრა. დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა საცხოვრისის ნიშნები.

ვ. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები:

დაგეგმილი საქმიანობისას წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. მუნიციპალურ ნარჩენების გატანაზე გაფორმდება ხელშეკრულება

ადიგენის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკერებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

დაგეგმილი საქმიანობისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 3-5მ³-ის ოდენობით). აღნიშნული ნარჩენებისა და ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კომპანიის ნარჩენების გეგმის შესაბამისად, კერძოდ, მოხდება მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ზ. უსაფრთხოება და ავარიული სიტუაციები: ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. დაღვრის თავიდან ასაცილებლად საწვავის გაცემის ადგილას მოწყობილი იქნება წვეთშემკრები სისიტემა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტების მოედნის გარე პერიმეტრი მოწყობილი იქნება მცირე არხებით, რომელიც შეერთებული იქნება მიწისქვეშა სალექარ ავზთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. აღნიშნული დაღვრილი ნავთობპროდუქტების რეზერვუარში დალექვის შემდეგ. ისინი ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა. ასევე სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით და სახანძრო საშუალებებით.

ავტოგასამართის ტერიტორიაზე ასევე განთავსებული იქნება მეხამრიდი, რომელიც სრულად ფარავს ტერიტორიას.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები. ავტოგასამართი აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

თ. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე :

დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორია არ განეკუთვნება ჭარბტენიან ან დაცულ ტერიტორიას, არ არის ტყით დაფარული და არ მდებარეობს ასეთი ტერიტორიების სიახლოვეს. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ი. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება :

ავტოგასამართის ფუნქციონირებით უზრუნველყოფილი იქნება მიმდინარე პროექტის საწვავით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით დასრულებას. პროექტის წარმატებით დასრულებით ქვეყნის სატრანსპორტო ქსელი კიდევ უფრო განვითარდება, რაც ქვეყნისთვის, ასევე, ამ რეგიონისთვის ნიშნავს ეკონომიკის განვითარებას, მეტ ტურისტს და სწრაფად და კომფორტულად გადაადგილების საშუალებას.

კ. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე:

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის.


ლ. საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:

დაგეგმილი ავტოგასამართის სიახლოვეს ანალოგიური პროფილის ობიექტი არ ფიქსირდება. თუმცა ასეთების არსებობის შემთხვევაშიც დაგეგმილი საქმიანობის მცირე მასშტაბიდან და ასეთი პროფილის საწარმოების გარემოზე მცირე ზეგავლენის გათვალისწინებით მათი ერთობლივი ფუნქციონირება არ გამოიწვევს გარემოზე ზემოქმედების ნორმების დარღვევას.


მ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს (1კმ) არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

დანართი N1-1



დანართი N1-2



<p>CONTRACTOR:</p> <p>Sinhydro Corporation Limited</p>	<p>PROJECT: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასაბელაშჩიევირის მნიშვნელობის ხაზები (ანგია) ახალი საავტომობილო გზის ხულო-ჯიჯერის მონაკვეთის (კმ 110-კმ 127) მშენებლობა Rehabilitation / Reconstruction Works of Khulo-Zarzma Section of Secondary Road Batumi (Angia) - Akhaltsikhe (LOT II: Goderdzi Pass - Zarzma 0+000 - km 17+380)</p>	<p>DRAWING TYPE: shop drawing</p>
	<p>DRAWING TITLE: განგება / General plan</p>	<p>DRAWING SIZE: A3</p>
<p>DESIGNED BY: _____ DATE: _____</p>	<p>APPROVED BY: _____ DATE: _____</p>	<p>DRAWING NO.: SHHT-EG4-K248-YD-M2 SCALE: 1:500 DATE: _____</p>

